ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №17
2024 წლის 7 აგვისტო

ქ. ახმეტა

„ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 5 ივნისის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 5 ივნისის №10 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 06/06/2024, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.162.016651) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-11 პუნქტის, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, ,,ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის №667 დადგენილების მე-2 მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:“.

2. დადგენილების მე-2 მუხლი ამოღებულ იქნეს.

3. დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი

ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტები

მარშრუტის №	ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტები	მარშრუტის მართულება	ავტობუსების (M3 კატეგორია ყოველდღიური რაოდენობა)	ინტერვალი საშუალოდ (წუთი)
	ქალაქი ახმეტა -სოფელი ქისტაური - სოფელი ახშანი - სოფელი ჩაბინაანი - სოფელი ზემო ხოდაშენი - სოფელი ოჟიო - სოფელი კოღოთთო-სოფელი ალავერდი - სოფელი ქვემო ალვანი - სოფელი ზემო ალვანი- ქალაქი ახმეტა			

1		წრიული	2	120
2	ქალაქი ახმეტა - სოფელი ზემო ალვანი - სოფელი ქვემო ალვანი - სოფელი ალავერდი - სოფელი კოღოთო, სოფელი ოჟიო - სოფელი ზემო ხოდაშენი - სოფელი ჩაბინაანი - სოფელი ახშანი - სოფელი ქისტაური - ქალაქი ახმეტა	წრიული	2	120
3	ქალაქი ახმეტა - სოფელი მატანი - სოფელი კუწახტა - სოფელი ყვარელწყალი - სოფელი დუისი - სოფელი ჯოყოლო - სოფელი ბირკიანი - სოფელი ძიბახევი	მიმართულება	2	120
4	სოფელი ძიბახევი-სოფელი ბირკიანი-სოფელი ჯოყოლო-სოფელი დუისი- სოფელი ყვარელწყალი- სოფელი კუწახტა- სოფელი მატანი-ქალაქი ახმეტა	უკუმიმართულება	2	120
5	ქალაქი ახმეტა - სოფელი მატანი - სოფელი კუწახტა - სოფელი ქვემო ხალაწანი - სოფელი დუმასტური - სოფელი ომალო	მიმართულება	1	120
6	სოფელი ომალო - სოფელი დუმასტური - სოფელი ქვემო ხალაწანი - სოფელი კუწახტა - სოფელი მატანი - ქალაქი ახმეტა	უკუმიმართულება	1	120
7	ქალაქი ახმეტა-სოფელი მატანი	მიმართულება	4	60

8	სოფელი მატანი -ქალაქი ახმეტა	უკუმიმართულება	4	60

“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **იოსები ქარუმაშვილი**